

**საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს  
სხდომის ოქმი №3**

ქ. თბილისი

14.02.2017

სხდომას ესწრებოდნენ:

**საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:  
ელიზბარ ელიზბარაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი,  
საბჭოს თავმჯდომარე;**

**ნათელა სახოვია - ა(ა)იპ - სტრატეგიულ გამოკვლევათა ინსტიტუტის თანადირექტორი,  
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;**

**ანანო გიორგაძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრანტი, საბჭოს მდივანი;  
თამარ ბრეგვაძე - ა(ა)იპ - კავშირი განათლების პოლიტიკის, მართვისა და დაგეგმვის  
საერთაშორისო ინსტიტუტის მტავარი მკვლევარი;**

**ლევან გორდეზიანი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის პროფესორი;**

**ნანა შათაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის პროფესორი, ამავე უნივერსიტეტის ელეფთერ ანდრონიკაშვილის  
სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი;**

**ნინო ჩინჩალაძე - ა(ა)იპ - ფონდი „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ აღმასრულებელი  
დირექტორი;**

**გიორგი მუსხელიშვილი - ა(ა)იპ - საქართველოსაგრარული უნივერსიტეტის პროფესორი;**

**ლაშა ლაბაძე - ა(ა)იპ - საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის აღმასრულებელი  
დირექტორი.**

**სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი)  
წარმომადგენლები:**

**ლევან მადათოვი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის  
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უფროსის  
მოვალეობის შემსრულებელი;**

**ნინო გაგელიძე - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უმაღლესი  
საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს კოორდინატორი;**

**ქელვან ინანაშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის  
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უმაღლესი  
განათლების ხარისხის უზრუნველყოფის კოორდინატორი.**

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:**

**თამარ ვეფხვაძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;**

**ვაჟა ლორთქიფანიძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის პროფესორი, სადოქტორო პროგრამის ავტორი და ხელმძღვანელი;**

**რევაზ ჯორბენაძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის  
უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;**

**მიხეილ ბატიაშვილი - შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის რექტორი;**



ნინო ეწუქიძე - შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის დეკანი;  
მაია ნონიაშვილი - შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;  
პაატა გოგიშვილი - ა(ა)იპ - საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;  
ზურაბ ბერია - ა(ა)იპ - საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროგრამის ხელმძღვანელი.

#### ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):

გიორგი ღალანიძე;  
ვასილ კიკუტაძე;  
გოდერძი ბუჩაშვილი;  
პეტრე ბაბილუა;  
ხათუნა ამაღლობელი;  
გოჩა თუთბერიძე.

საბჭოს სხდომა დაიწყო 15:15 საათზე.

სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნა, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

#### თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დემოგრაფიის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.

შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი. შესაბამისად, საბჭოს წევრებმა ერთხმად დაამტკიცეს სხდომის დღის წესრიგი.

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
დემოგრაფიის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა

პროგრამის დასახელება: დემოგრაფია

სწავლების ენა: ქართული

სწავლების საფეხური: დოქტორანტურა

მისანიჭებული კვალიფიკაცია: სოციალური მეცნიერებების დოქტორი დემოგრაფიაში  
კრედიტების რაოდენობა: 180

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა  
საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების  
მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ  
დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის  
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის  
მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰქითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს,  
იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა  
დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა  
სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის  
დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინეს ექსპერტებმა  
გოჩა თუთბერიძემ და ხათუნა ამაღლობელმა.

- ექსპერტთა ჯგუფის აზრით უმჯობესი იქნებოდა: სასწავლო კომპონენტი გაზრდილიყო 60 კრედიტამდე, არჩევითი კომპონენტიდან ამოღებული ყოფილიყო დუბლირებული სასწავლო  
კურსები (დოქტორანტის სემინარი და პროფესორის ასისტენტობა); სასწავლო კომპონენტს  
დამატებოდა სასწავლო კურსი „კვლევის მეთოდები“; დარგობრივი სასწავლო კურსების  
შეთავაზების შემდეგ სასურველი იყო, დაზუსტებულიყო და დეტალურად გაწერილიყო  
პროგრამის სწავლის შედეგები; სასწავლო კურსებისათვის „დოქტორანტის სემინარი“ და  
„პროფესორის ასისტენტობა“ შექმნილიყო შესაბამისი სილაბუსები, სადაც  
დეტალურადიქნებოდა გაწერილი აღნიშნული სასწავლო კურსების მიზანი, სწავლის  
შედეგები, შეფასების კრიტერიუმები და ფორმები, კურსის თემატიკა და ა.შ;

- ვინაიდან სადოქტორო კოლოქვიუმები სწორედ კვლევითი კომპონენტი გახლდათ,  
შესაბამისად მათი შეფასება უნდა მომზდარიყო მეოთხე მუხლის მე-17 პუნქტის და არა მე-9  
პუნქტის შესაბამისად, როგორც აღნიშნული ასახული გახლდათ თსუ-ს სოციალურ და  
პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს  
დებულების №3 დანართში „სადოქტორო კოლოქვიუმების შეფასების წესი“;

- საგანმანათლებლო პროგრამის აუცილებელი წინაპირობა გახლდათ უცხო ენის B2 დონეზე  
ცოდნა, რაც ძალიან ზოგადი იყო და პროგრამაზე სწავლის მსურველთათვის არ იძლეოდა  
ნათელ მითითებას რომელ უცხო ენას გულისხმობდა პროგრამის შემთავაზებელი.  
დოქტორანტურის დებულებაში აღნიშნული ხარვეზი აღმოფხვრილი იქნა, ვინაიდან იქ  
მითითებული გახლდათ, რომ უცხო ენის ქვეშ იგულისხმოდა ევროპულიერები:  
ინგლისური, გერმანული და ფრანგული. აღნიშნულიდან გამომდინარე სასურველი იყო,  
პროგრამაშიც ყოფილიყო ასახული იგივე ინფორმაცია რაც მიღების წინაპირობას გახდიდა  
უფრო გამჭვირვალეს.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ რაც შეეხებოდა პროგრამაზე დაშვების წინაპირობაში უცხო ენის კომპიუტერის, იზიარებდნენ რეკომენდაციას მისი პროგრამაში გადატანის თაობაზე, თუმცა აღნიშნული საკითხი დარეგულირებული იყო თავად დოქტორანტურის დებულებით. რაც შეეხებოდა კოლოგვიუმის შეფასების ასპექტს, აღნიშნული ხარვეზიც გამოსწორებული იქნა და საბჭოზე ჰქონდათ წარმოდგენილი კოლოგვიუმის შეფასების ფორმა.

რაც შეეხებოდა სასწავლო კომპონენტის გაზრდას 60 კრედიტამდე, აღნიშნული გახლდათ სასარგებლო რეკომენდაცია, თუმცა უნივერსიტეტს არ ჰქონდა იმპერატიულად განსაზღვრული სასწავლო და კვლევითი კომპონენტის კრედიტების მოთხოვნა, ფაკულტეტის მიერ გადაწყვეტილი იყო 40 კრედიტი განესაზღვრა სასწავლო კომპონენტისათვის, ხოლო 140 კრედიტი დათმობოდა კვლევას.

თავმჯდომარე დაინტერესდა ყველა პროგრამაზე იყო აღნიშნული სახით კრედიტები გადანაწილებული თუ ეს ეხებოდა მხოლოდ დემოგრაფიას.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ყველა პროგრამაზე სასწავლო კომპონენტად განსაზღვრული გახლდათ 40 კრედიტი, თუმცა მინიმალური სტანდარტით დასაშვები გახლდათ 40-დან 60-მდე, ყველა ფაკულტეტი განსაზღვრავდა საკუთარი შეხედულების მიხედვით. შესაბამისად უნივერსიტეტი მიიჩნევდა, რომ 40 კრედიტის ფარგლებშიც შესაძლებელი გახლდათ დარგობრივი კურსების ჩაშენება, რაც სრულებით საკმარისი იყო.

წარმომადგენელის განცხადებით, რაც შეეხებოდა არჩევითი კომპონენტიდან დუბლირებული სასწავლო კურსების ამოღებას როგორიც გახლდათ სემინარი და ასისტენტობა, აღნიშნული არ გახლდათ დუბლირება, წარმომადგენლები ვიზიტის მიმდინარეობისას ეცადნენ ახესნათ კოლეგებისათვის თუ რატომ იქმნებოდა მსგავსი შთაბეჭდილება. კერძოდ, სავალდებულო საგნების ჩამონათვალში გახლდათ დოქტორანტის სემინარი-15 კრედიტი, ასისტენტობა-5 კრედიტი, აღნიშნულის შემდგომ მოდიოდა არჩევითი საგნების ჩამონათვალი საიდანაც დოქტორანტს კვლავ შეეძლო აერჩია 15 კრედიტიანი საგანი, თუმცა მას უნდა წარმოედგინა სხვა თემატიკა.

რაც შეეხებოდა დარგობრივ კურსებს, აღნიშნული გახლდათ მნიშვნელოვანი რეკომენდაცია, აღნიშნულ რეკომენდაციაზე აპელირებით იგეგმებოდა ცვლილებების შეტანა დოქტორანტურის მინიმალურ სტანდარტში, თუმცა დარგობრივი სასწავლო კურსების შემუსავებასთან დაკავშირებით უნივერსიტეტი იქნებოდა საკმაოდ ფრთხილი, იქედან გამომდინარე, რომ დოქტორანტურის აკადემიური საფეხური გახლდათ უმაღლესი საფეხური, სადაც აპლიკანტი ქმნიდა ახალ ცოდნას, შესაბამისად თუ მას არ ჰქონდა დარგობრივი ცოდნა ის ვეღარ შექმნიდა ახალს. შესაბამისად დარგობრივი საგნების ჩამონათვალი გახლდათ მწირი, დოქტორანტის სემინარი გახლდათ ის კომპონენტი სადაც იგი გაცნობოდა დარგში არსებულ სიახლეებს. დარგობრივ კურსებს ჰქონდათ თვისება სხვადსხვა ინტერდისციპლინურ პროგრამებში თუნდაც, როგორიც გახლდათ დემოგრაფია, სხვადასხვა ასპექტი შეეძინა, მაგ: სამართლებრივი, ეკონომიკის, სოციალური და ა.შ. წარმომადგენელმა წარმოადგინა საბჭოზე ფაკულტეტების დეკანების ვიზები ცვლილებებთან დაკავშირებით, სადაც ცვლილების არსი მდგომარეობდა იმაში, რომ სავალდებულო კურსები დოქტორანტურის მინიმალურ სტანდარტში შეიძენდა არჩევითი კურსების სტატუსს გარდა დოქტორანტის სემინარისა, რომელიც იქნებოდა სავალდებულო.

აღსანიშნავი გახლდათ ასევე რეკომენდაცია, სადაც მითითებული იყო, რომ სავალდებულო კურსებს დამატებოდა კურსი კვლევის მეთოდები, რეკომენდაცია გაზიარებული იყო და მოქმედებდა. რაც შეეხებოდა სასწავლო კურსებს დოქტორანტისათვის როგორიც გახლდათ

პროფესორის ასისტენტობა და სემინარი, აღნიშნულ რეკომენდაციას დაწესებულება ვერ გაითვალისწინებდა, ვინაიდან ყველა ფაკულტეტის დოქტორანტურის წესდებაში გაწერილი იყო სემინარის შეფასების წესი, სადაც ჩაშლილი გახლდათ ინდიკატორები კრიტერიუმების სახით, კერძოდ რა აქტივობები უნდა შეესრულებინა დოქტორანტს. მნიშვნელოვანი გახლდათ ასევე ის ფაქტორი, რომ თუ კი დაზუსტდებოდა დარგობრივი სასწავლო კურსები, მოაზრებული იქნებოდა ასევე სწავლის შედეგებიც, თუმცა წარმომადგენლის პოზიციით აღნიშნული ვერ იმოქმედებდა სადოქტორო საფეხურის სწავლის შედეგებზე, ვინაიდან სადოქტორო პროგრამას ჰქონდა თავისი ჩამოყალიბებული შედეგები, შესაბამისად დარგობრივი სასწავლო კურსების შემუშავებული იქნებოდა მხოლოდ იმ ასპექტით, რომ პროფესორის მიერ დასახული მიზნიდან სასურველ შედეგამდე ეფექტურად მისულიყო დოქტორანტი.

წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ აღნიშნული სადოქტორო პროგრამის საქმის წარმოების პროცესში, ცენტრის მიმართ დასმულ იქნა საკითხი კვალიფიკაციათა ეროვნულ ჩარჩოში შეტანილ ყოფილიყო ცვლილება, რამაც საგრძნობლად გააჭიანურა აკრედიტაციის პროცესი. კვალიფიკაცია გახლდათ სოციალური მეცნიერებების დოქტორი დემოგრაფიაში და შესაბამისად გადანაცვლებულ იქნა მეორე სკეტში.

საბჭოს წევრი გიორგი მუსხელიშვილი დაინტერესდა, რომ უცხო ენის შესწავლა ხდებოდა იმისათვის, რომ დოქტორანტს თავისუფლად შეძლებოდა კონტაქტის დამყარება უცხოელებთან, მის დარგში არსებული ლიტერატურაც შესაბამისად იქნებოდა გარკვეულ ენაზე, მეცნიერებაში მთავარი ენა გახლდათ ინგლისური, მისთვის გაუგებარი იყო რატომ იყო პროგრამაში დაფიქსირებული ფრანგული და გერმანული ენა.


წარმომადგენელმა განაცხადა, რომ უნივერსიტეტში არსებობდა გერმანულებოვანი და ფრანგულენოვანი ლიტერატურაც, ხოლო მას შემდეგ რაც გაუქმებულ იქნა მინისტრის ბრძანება იმასთან დაკავშირებით რომ ბაკალავრი თუ ვერ ჩააბარებდა ინგლისური ენის კომპონენტს მას არ მიენიჭებოდა დიპლომი, შესაბამისად დაშვების დონეზე სამეცნიერო ლიტერატურა შესაძლებელი იყო ყოფილიყო სხვადსხვა ევროპულ ენაზე. მიღების წინაპირობა გახლავთ ინგლისური ენა თუმცა სტუდენტი შესაძლებელია ყოფილიყო გერმანულენოვანიც.

საბჭოს წევრი თამარ ბრეგვაძე დაინტერესდა კვლევასთან დაკავშირებით, კერძოდ კვლევის მეთოდები წარმოდგენილი გახლდათ ერთი ტიპის კურსით, თუ ჰქონდათ გეგმაში ჩადებული სამომავლოდ სადოქტორო საფეხურზე კვლევის დიფირენცირება მომხდარიყო მეთოდების მიხედვით და ყოფილიყო უფრო სიღრმიერებული სიღრმიერების სიღრმისეული.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დარგობრივი კურსების შემოღებასთან დაკავშირებით უნივერსიტეტი იმიტომაც გახლდათ ფრთხილი, რომ დოქტორანტს პირველ რიგში უნდა ესწავლა კვლევის მეთოდოლოგია, სამეცნიერო აპარატის გამართვა, აკადემიუ დონეზე თავისი კვლევის ჩამოყალიბება და ა.შ. შესაბამისად კვლევის მეთოდები ყველა დარგის მიხედვით გახლდათ განსხვავებული. ასევე ცვლილებების ინიცირება ემსახურებოდა იმასაც, რომ გამოწავისუფლებულიყო უფრო მეტი სივრცე ინდივიდუალური შემთხვევებისათვის.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ ჰქონდა უნივერსიტეტს უურნალები სადაც დაიბეჭდებოდა სამეცნიერო კუბლიკაციები.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ფაკულტეტის ჰქონდა რეფერირებადი ჟურნალი, აღნიშნული გახლდათ სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის ჟურნალი, სადაც გამოქვეყნება ხდებოდა გარე რეცენზირებით, ჟურნალი გახლდათ ინგლისურენოვანი, მას ჰქონდა ვებგვერდი, თუმცა არ გახლდათ ცალკე სტრუქტურული ერთეული. მოანცემების გადამოქმება შესაძლებელი იყო ფაკულტეტის ვებგვერდზე. დოქტორანტს უნდა ჰქონდა გამოქვეყნებული სამი სტატია, დისერტაციის 40 გვერდი ეგზავნებოდა უცხოელ პროფესორს, შესაბამისად მესამე რეცენზენტი გახლდათ უცხოელი პროფესორი.



თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დემოგრაფიის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

აცილების გამო კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღიათ საბჭოს წევრებს ლევან გორდეზიანს და ნანა შათაშვილს.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წიანააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დემოგრაფიის სადოქტორო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.



2. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

### პროგრამის მოკლე აღწერა

პროგრამის დასახელება: ბიზნესის ადმინისტრირება და თანამედროვე ტექნოლოგიები სწავლების ენა: ქართული

სწავლების საფეხური: მაგისტრატურა

მისანიჭებული კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი მენეჯმენტში კრედიტების რაოდენობა: 120

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰქითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინეს ექსპერტებმა გიორგი ღალანიძემ და ვასილ კიკუტაძემ.

- რეკომენდირებული იყო ზოგიერთი არჩევითი სასწავლო კურსების (მენეჯმენტი, ლიდერობა და გუნდის მართვა, ბიზნესის სამართალი) სილაბუსებში განხორციელებულიყო შესასწავლი საკითხების უფრო მეტად დაკონკრეტება, რათა ისინი სრულ შესაბამისობაში ყოფილიყო სამაგისტრო სწავლების დონესთან;
- რეკომენდირებული იყო სამაგისტრო ნაშრომის შეფასების ფორმები მოსულიყო შესაბამისობაში სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსში გაწერილ შეფასების წესთან;
- სასურველი იყო პროგრამის არჩევითი დისციპლინების მოდულიდან დისციპლინები: კორპორაციული მართვა, მენეჯერული ეკონომიკა, ბიზნესის მოდელირება და გადაწყვეტილების მიღება გადასულიყო სავალდებულო დისციპლინების მოდულში და გამხდარიყო სავალდებულო დისციპლინები, ხოლო არჩევით დისციპლინებს დამატებოდა პროექტების მართვის დისციპლინა, რომელიც რეკომენდირებული იყო წარმართულიყო თანამედროვე ტექნოლოგიებზე დაფუძნებით;
- სასურველი იყო დისციპლინა „კვლევის მეთოდები“ნაცვლად მესამე სემესტრისა შესწავლილი ყოფილიყო მეორე სემესტრში, რაც უზრუნველყოფდა სტუდენტის მზაობას უკეთ გაერთვა თავი პროგრამით გათვალისწინებული კვლევითი კომპონენტების შესრულებისათვის;
- მიზანშეწონილი იყო დეტალურად ყოფილიყო გაწერილი პრაქტიკის კომპონენტის გავლის პირობები;
- რეკომენდირებული იყო დაზუსტებულიყო პროგრამაზე მისაღები შიდა საუნივერსიტეტო გამოცდის ფორმატი და განსაზღვრულიყო როგორც წერითი გამოცდა სპეციალობაში, რაც უზრუნველყოფდა პროგრამაზე თანაბარი მომზადების მქონე სტუდენტების მოხვედრას და ხელს შეუწყობდა პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას მაღალ დონეზე;

- რეკომენდირებული იყო უნივერსიტეტს ინტერნაციონალიზაციის ხარისხის გაზრდის მიზნით უზრუნველეყო თანამშრომლობის მემორანდუმების გაფორმება სხვადასხვა უცხოურ სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან, საერთაშორისო აკადემიურ გაცვლით პროგრამებთან და ა.შ.

თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ექსპერტებთან და ვიზტის შემდგომ ნაყოფიერი მუშაობის შედეგად მოხდა რეკომენდაციების გაზიარება და გამოსწორება. საბჭოზე მტკიცებულებების სახით წარმოდგენილი ჰქონდათ გამოსწორებული დოკუმენტაცია.

საბჭოს წევრმა ნანა შათაშვილმა განაცხადა, რომ ძირითადად ყველა საგანი გახლდათ ექვს კრედიტიანი და კვირაში ეთმობოდა ორი საათი, მას ვერ წარმოედგინა ლექცია-სემინარი ორი საათი როგორ ახერხებდა სტატისტიკის, ფინანსური აღრიცხვის ათვისებას, როგორ იყო გადანაწილებული ერთი კვირა იკითხებოდა ლექცია და მეორე კვირას ტარდებოდა სემინარები თუ როგორ ნაწილდებოდა საათები? დაწესებულება ალბათ გულისხმობდა დამოუკიდებელი მუშაობის ხარჯზე მასალის ათვისებას, მაგრამ თუმცა მას რთულად ეჩვენებოდა ყოველივე აღნიშნული.

წარმომდგენელმა განაცხადა, რომ ყველა საგანი არ გახლდათ 6 კრედიტიანი, ასევე იყო 5 და 4 კრედიტიანი საგნებიც თუმცა საათების რაოდენობა გახლდათ ერთნაირი. ასევე აღსანიშნავი იყო, რომ მაგისტრანტების უმრავლესობა მუშაობდა, შესაბამისად მათ უნდა ემუშავათ დამოუკიდებლადაც მათი შეხედულების თანახმად.

საბჭოს წევრმა ნანა შათაშვილმა განაცხადა, რომ მისთვის გასაგები იყო, რომ მაგისტრანტს უნდა ჰქონოდა დამოუკიდებლად მუშაობის უნარი, თუმცა საგნები რომელიც გათვალისწინებული იყო პროგრამით საჭიროებდა მეტ დროს მათ ასათვისებლად. მისთვის წარმოუდგენელი იყო, რომ არ მომხდარიყო ჯგუფებში მასალის გადაცემა და დამუშავება საკითხები და მხოლოდ გამოცდის შედეგები გაცემულიყო დიპლომი.

ექსპერტმა გიორგი ღალანიძემ განაცხადა, რომ სწორი გახლდათ საბჭოს წევრის შენიშვნა, სწორედ აღნიშნულიდან გამომდინარე იყო შემუშავებული რეკომენდაცია რომ დაზუსტებულიყო პროგრამაზე მისაღები შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის ფორმატი და განსაზღვრული ყოფილიყო როგორც წერითი გამოცდა სპეციალობაში, რაც უზრუნველყოფდა პროგრამაზე თანაბარი მომზადების მქონე სტუდენტების მოხვედრას და ხელს შეუქობდა პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას მაღალ დონეზე. ანუ სტუდენტს რომ ესწავლა სტატისტიკა ბიზნესისათვის მას უნდა სცოდნოდა მათემატიკა ბაკალავრიატის დონეზე, მაგრამ აუცილებელი იყო კალკულუს 1 და 2-ით გათვალისწინებული საგნები, ასევე სტუდენტს რომ დაეძლია მენეჯერული ეკონომიკა მას უნდა სცოდნოდა კარგად მიკროეკონომიკა და მათემატიკური ანალიზი. სწორედ აღნიშნულიდან გამომდინარებდა მზემოხსენებული რეკომენდაციაც. რაც შეეხებოდა ერთი საათის დამატებას იმისათვის რომ მიეღოთ უფრო უკეთესი შედეგი, აღნიშნული გახლდათ სადაო მითუმეტეს მაგისტრატურის საფეხურზე, მაგისტრანტს თვითონ უნდა განესაზღვრა თუ როგორ მომზადებულიყო მითითებული საგნების დამლევისათვის, ასევე თუ იქნებოდა წერითი გამოცდა, აღნიშნულის შემდგომ ორი საათი იქნებოდა საკმარისი.

საბჭოს წევრი გიორგი მუსხელიშვილი დაინტერესდა პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, მას აღნიშნული ესმოდა ისე, რომ გარკვეული საკითხის დაკონკრეტება არ შეცვლიდა არაფერს, უმჯობესი იქნებოდა ჩანაწერში ყოფილიყო დაფიქსირებული, რომ განსაზღვრული ყოფილიყო სიღრმე იმ შესასწავლი საკითხებისა, რომელიც შესაბამებოდა მაგისტრატურის დონეს.

ექსპერტმა განაცხადა, რომ ეთანხმებოდა საბჭოს წევრის შენიშვნას, შესაბამისად მან მოიყვანა შემდეგი მაგალითი, კერძოდ მენეჯმენტთან დაკავშირებით საბაკალავრო დონეზე

სამოტივაციო თეორიები შესაძლებელი იყო წაეკითხათ მასლოუს, მაკმილანის და ა.შ სახელმძღვანელოებით, მაგრამ სამაგისტრო დონეზე უნდა ყოფილიყო დაკონკრეტებული თუ კონკრეტულად რომელი თეორიები ისწავლებოდა რომელი ავტორის სახელმძღვანელოთი. რეკომენდაციის შინაარსი გალბდათ ზუსტად ის მოსაზრება რაც წარმოადგინა საბჭოს წევრმა.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პირველი რეკომენდაცია სილაბუსების დონეზე იქნა გაზიარებული და განისაზღვრა სამაგისტროს დონეზე აუცილებელი კონკრეტიკა.

საბჭოს წევრმა ნანა შათაშვილმა განაცხადა, რომ დაწესებულებას როგორც ჩანდა გაეპარა ტექნიკური შეცდომა ვინაიდან ფინანსური აღრიცხვა გახლდათ წინაპირობის გარეშე, გახლდათ არჩევითი და იყო წინაპირობა სავალდებულო საგნის.

ექსპერტმა გიორგი ღალანიძემ აღნიშნა რომ ადგილი ჰქონდა ტექნიკურ შეცდომას.

თავმჯდომარე დაინტერესდა დაინტერესდა თუ რამდენ სტუდენტზე ჰქონდა უნივერსიტეტის გათვლა.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ რაოდენობა განისაზღვრებოდა იქედან თუ რა მოთხოვნა იქნებოდა პროგრამაზე, მოლოდინი ჰქონდათ 50-60 სტუდენტის. ხელმძრვანელი იქნებოდა ადგილობრივი პერსონალი, პროგრამის უპირატესობა გახლდათ ისიც, რომ პროგრამის გარეთ იქნებოდა სტაჟირება - პრაქტიკა, დაწესებულებას გაფორმებული ჰქონდა ასზე მეტი მემორანდუმი პარტნიორ ორგანიზაციებთან რაც უზრუნველყოფდა მათ პრაქტიკას.

საბჭოს წევრი თამარ ბრევაძე დაინტერესდა თუ როგორი კონცეფცია ჰქონდათ სამაგისტრო ნაშრომთან დაკავშირებით.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სტუდენტები ნაშრომზე იმუშავებდნენ ინდივიდუალურად ხელმძღვანელის ჩართულობით.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი

გადაწყვეტილებას მხარი არ დაუჭირა საბჭოს წევრმა ნანა შათაშვილმა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

3. ა(ა)იპ - საქართველოს საპატირიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

### პროგრამის მოკლე აღწერა

პროგრამის დასახელება: მასწავლების მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (ქართული ენა და ლიტერატურა, ისტორია, მათემატიკა, ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია, ინგლისური ენა) სწავლების ენა: ქართული

კრედიტების რაოდენობა: 60

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰქითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინეს ექსპერტებმა გოდერძი ბუჩაშვილმა და პეტრე ბაბილუამ.

- შეფასების ფორმები სილაბუსებში განსაზღვრული იყო პროცენტული და ქულობრივი მაჩვენებლებით, შესაბამისად, უმჯობესი იქნებოდა თუ მხოლოდ შეფასების ქულობრივი გაანგარიშება იქნებოდა სილაბუსებში წარმოდგენილი;

- აკადემიური პერსონანლის დატვირთვის გარდა, სტუდენტის ინფორმირებულობისათვის სასურველი იქნებოდა სასწავლო კურსების სილაბუსებშიც მითითებოდა ინდივიდუალური მუსაობის შესაძლებლობის შესახებ;

- პროგრამის მდგრადობის კიდევ უფრო გამყარების მიზნით, სასურველი იყო უფრო მეტი აკადემიური პერსონანლის ჩართვა სასწავლო პროგრამის განხორციელებაში. მით უმეტეს, რომ პროგრამაში ჩართული პირების მონაცემები იძლეოდა აღნიშნულის საშუალებას.

ექსპერტმა განაცხადა, რომ პროგრამა გადიოდა შედეგზე, ჩართული იყო სერიოზული აკადემიური პერსონანლი, რეკორდდაციები გახლდათ ტექნიკური ხასიათის, რომელიც გაზიარებული იქნა დაწესებულების მიერ.

თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ გამოასწორეს მითითებული ხარვეზები, სილაბუსების ფორმა იქნა შეცვლილი და შეფასება განსაზღვრულ იქნა ქულობრივი გაანგარიშებით, სილაბუსებში ასევე ასახული იქნა სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს შორის საკონსულტაციო საათების დრო, მათ შორის მოწვეულ პერსონალთან მიმართებითაც. აღნიშნული პროგრამა გახლდათ პირველი პროგრამა, რომელიც უნდა განხორციელებულიყო მათ უნივერსიტეტში, პროგრამის ხელმძღვანელი გახლდათ მოწვეული, შესაბამისად აკადემიური პერსონალი შერჩეული იქნა მის მიერ, თუმცა პროგრამის მდგრადობიდან გამომდინარე დაწესებულება აპირებდა კონკურსის გამოცხადებას და კონკურსის შესაბამისად მომხდარიყო შერჩევა.

საბჭოს წევრი ნათელა სახოვია დაინტერესდა თუ ვის ელოდნენ პროგრამაზე.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამაზე მსურველები უნდა ყოფილიყვნენ ბაკალავრები, რომლებსაც არ ექნებოდათ მასწავლებლად მუშაობის უფლება, ასევე სხვადასხვა დარგის სტუდენტები, ვინაიდან მისი აზრით არსებობდა საგნები, სადაც მალე აღარ იქნებოდნენ მასწავლებლები.

თავმჯდომარემ განაცხადა, რომ გარდა თეორიული საგნებისა, საგნობრივი პროგრამის განუყოფელი ნაწილი გახლდათ ექსპერიმენტი, მას აინტერესებდა ითვალისწინებდა თუ არა მათი პროგრამა ასეთი სახის აქტივობას.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამის განუყოფელი ნაწილი გახლდათ ექსპერიმენტი, უნივერსიტეტს ჰოქნდა ფიზიკის ლაბორატორია, ასევე ხელშეკრულებები დაიდებოდა სკოლებთან, უკვე გაფორმებული ხელშეკრულება არსებობდა 51-ე სკოლასთან რომელსაც ჰქონდა ახალი ქიმია-ბიოლოგიის ლაბორატორია, შესაბამისად პრაქტიკა განხორციელდებოდა სკოლებში.

საბჭოს წევრი ნათელა სახოვია დაინტერესდა შეცვლილი იყო თუ არა ფიზიკის პროგრამები და სახელმძღვანელოები.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სახელმძღვანელოს შეცვლა არ იყო მარტივი, გახლდათ საკმაოდ ხანგრძლივი პროცესი, შექმნილი ჰქონდათ სახელმძღვანელოების კრებული, ხოლო ახალი სახელმძღვანელო ჯერ-ჯერობით არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9

წიანააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას (ქართული ენა და ლიტერატურა, ისტორია, მათემატიკა, ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია, ინგლისური ენა) 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ სხდომა დასრულდა 17:15 საათზე.

თავმჯდომარე

ელიზბარ ელიზბარაშვილი

მდივანი

ანანო გიორგაძე